საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან თევზაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევანი თევზაძე

1 აგვისტო, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს,
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ნიკოლოზ მარსაგიშვილის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო **ნიკოლოზ მარსაგიშვილმა.**

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - ნიკოლოზ მარსაგიშვილი, რის შედეგადაც მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 93 ქულა.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1302 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 93% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ნიკოლოზ მარსაგიშვილმა დაიკავა პირველი პოზიცია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/75 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა - ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის პირველ აგვისტოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, შესაბამისად, მე მხარი დავუჭირე ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე